დროება

ეროვნული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 130 კვირა, 14 ივნისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» ხელმოწერილი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; ეკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორამი ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპ[illegible] ბავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად [illegible] დღე. კვირა-უქმეების გარდა [illegible] დღეკვის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეშე ღირს 1 მან., ხოლო ხუთგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეშე ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.

სამშაბათს, 16 ივნისს,

ეკატერინე ავეტიქის ასულის ფრიდონოვის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ნორაშენის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა ღა პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები **გრიგოლ** და **მნაცაკან იაგორის ძენი ფრიდონოვები.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (2—298—1)

ძმ. ზუგალაშვილების სახალხო თეატრი

კვირას, 14 ივნისს, 1909 წ. **საღამოს 8½ საათზე,** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად ახალი პიესა:

„ქუჩრიანი ტორტლა“

პიესა 4 მოქმ. ვიდლენრუხისა, თარგ. ს. ტ—სა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8½ საათზედ.

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 21 ივნისს. ქართული სახალხო სექცია **დაბეჯითებითა** სთხოვს საზოგადოებას წესიერების დასაცველად სხვის ადგილებზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულებით აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

ექიმი კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. კვირა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი **ვ. ღამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი **კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პრეს. N 12. სახლი მდინარისა. (უ)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ზუთმაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგინი, N 9. (უ)

ახლად გახსნილი

ტფილისის

პერძო სამკურნალო

გარეშენ ყოველ დღე მოსარულ ავადმყოფთათვის.

ვოვბლის ქ., № 8, ს. ენტიანეკიანცისა, ტელეფ. 695.

ე. **გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. **დ. ღამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ხ. **ა. ბოტოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. **მ. მაკაროვი**—ხამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. **ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. ნიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. **მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. **გ. გომბრთელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად, 2—3 ს.

ვ. **ს. ზუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. **გ. მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. **ვ. ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

(წლ.—ნ.—84)

ქუთაისში

1 ივლისიდან გამოვა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი:

„ვარსკვლავი“

გაზეთის ფასი იანვრამდე—3 მან., ერთი თვით 50 კაპ., ცალკე ნომერი 5 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები თვით რედაქციაში, ყვირილა—მოწრაფანში—პოდრეილე მელაძესთან; ხადგურ მეუნანში—უფასო საკვლევლადში. საჭიროა დაბა-ქალაქებში საიმედო აგენტები. რედაქციის ადრესი: Кутаисъ, редакція „ВАРСКВЛАВИ“, Балахванская ул. N 5, во дворѣ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესზე: Кутаисъ, редакція „Варсквлави“ Висаріону Сопромовичу Чибурданидзе.

(5—ფ.—3)

საზოგადოება

„განათლება“

ამით აუწყებს, რომ კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მოხდება საზოგადოების წლიური კრება.

განსახილველი საგნებია:

1. გამგეობის მოქმედების მოხსენება.
2. ზედამხედველის მოხსენება.
3. სავარაუდო ხარჯი..
4. არჩევნები საპატიო და გამგეობის წევრებისა. (1—1)

კაბინეტი **ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი** **მ. გედევანიშვილისა.** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოფლანოვის ქუჩა, ნაგუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 85)

ექიმები **კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლოშბის გაგეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ბაღრეხნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—169)

ექიმი **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან ხნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმწიფო სახნავლებლის პირდაპირ. (უ)

ქუთაიდში ყიდულობენ

აბრეშუმის ნედლ პარკს. ვ. ა. ზეიდლეცთან. (3—1)

ФЕЛЬДШЕРСКАЯ ШКОЛА

Д-ра Г. Л. РОГИНСКАГО

въ Москвѣ, Маросейка, Косма-Даміанскій пер., д. Конкина. **Телефонъ 210-62.**

Открытъ пріемъ прошеній на 190⁹/₁₀ учебн. годъ. Условія высылаются и выдаются.

(Метцль и К.—166766) (4—ბეტ.—4)

15, 16, 17, 18, 19, 20, 22, 23, 24, 25, 26, 27, 29 და 30

პ. ს. ადგილოვი

ლოტარეა

სოლოლაკის ქუჩა, ს. გურგენოვისა, ტელ. № 583.

ყოველ დღე შემოღებულის წესით, შესამჩნევად დაკლებულის ფასებით გაიყიდება **სასეზონო ნივთები.**

მხოლოდ 15 დღის განმავლობაში

რადგან სეზონი მალე თავდება და რადგან არ გვინდა სეზონის საქონელი მომავალ წლისთვის დარჩეს, ზემოდ დასახელებულ დღეებში სეზონის საქონელი გაიყიდება შესამჩნევად დაკლებულ ფასებით.

საზაფხულო ფერად ქსოვილების განუოფილებაში გაიყიდება ძალიან იაფად მხოლოდ პირველ იკლისამდე.

საოცარი იაფობა-სარატოვის სარპინკები

რომელიც ხელით არის მოქსოვილი. ვურჩევთ ყველას, როგორც მეტად მკვიდრ, მსუბუქ და კოხტა საქონელს. თავის დღეში არა ხუნდება გარეცხის დროს. იყიდება ძალიან იაფად.

მხოლოდ 1-ლ ივლისამდე.

სარატოვის სარპინკები არშ. 9 კ.-დან; სარპინკა ინგლისური, სუფთად მოქსოვილი, არშ, 12½ კ.-დან; სარპინკა აბრეშუმის მსგავსი, კოხტა, რომელიც საზღვარ-გარეთელ ქსოვილის მაგიერობასა სწევს, არშ. 18½ კ.-დან.

აუარებელი

შალეული და მაუდეული, სეზონის საქონელი, რომელიც სეზონის დროს არ გაყიდულა. ყველა ეს საოცრად იაფად გაიყიდება

მხოლოდ პირველ ივლისამდე

დამზადებული საცვალი

გაიყიდება ძალიან იაფად. ფერადი ჩულქები და წინდები, ხელით მოქსოვილი, მეტად მაგარი. ფერადი გარნიტურები, მანდილოსნის ჰერანგები, ჰერანგის ამხანაგები და ხალათები.

მხოლოდ პირველ ივლისამდე

ფანჯრების ვიტრინებში გამოფენილია მრავალი ნიმუში სხვა და სხვა საქონლისა, რომლებზედაც აღნიშნულია

დაკლებული ფასები

(1—ხალ.—1) პ. ლოტოუნოვი.

დ. სამტრიადიაში

კვირას ამა ივნისის 14-ს

გაიმართება

ყველა სეზონის

და

ლატარია

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ. (2—ნ.—2)

დაგა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—9)

ექიმი **მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების ხნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი ბრეხსეს ქუჩა, N 11. (75—101)

დიდი სეზონური

ლატარია

დღეს, 14 ივნისს, მუშტაიდში გაიმართება ს. ხალხო სეირნობა **საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ** შემდეგის პროგრამით:

ბედის ჩარხი, „პტიშვო“, კონფეტი, ანკესი, ფოსტა, მფრინავი ბურთულები, სამხედრო მუსიკა, გურულების ხორო, ხორო რუმინიელთა ნაციონალურ კოსტიუმებით, ქართული ხორო ჩარკეიანის ლოტბარობით, მანდოლინისტების ორკესტრი, ცეკვა (რვა წლის გურული ბავშვი, მიშა ხუნდაძე, შეასრულებს საუცხოო ნომრებს) და ბავშვების სხვა და სხვანაირი გასართობი-სათამაშო.

საბავშვო სეირნობა დაიწყება 12 საათ. მოზრდილებისა—4 საათზე. (უ.—1)

სტუდენტი-ფილოლოგი

კისრულობს რეპეტიტორობას და ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასშ. ოქტომბერდღის ქუჩა, № 23. დანდუროვი. საღამოს 5—7 საათ. (2—289—2)

დაბეჭდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემანი „ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა“

1. **ილია ჭავჭავაძის**

პრიტიკული ეერილები

ფასი 25 კაპ.

2. **ილია ჭავჭავაძის**

ცხოვრება და კანონი

ფასი 25 კაპ.

იბეჭდება მისივე „პოლემიკური წერილები“ (კატკოვის პასუხად, პოლემიკა იანოვსკისთან და სხ.).

მზადდება დასაბეჭდად „აი ისტორია“ და სხ. (5—2)

„ტფილისის სოგრანიე“

ოთხშაბათს, 17 ივნისს, ბ-ნთ წევრთა და კანდიდატთა ბავშვებისათვის, ე. გ. სალამბეკოვის ზედამხედველობით, საღამოს 6—7 საათზე, გაიმართება

საბავშვო საღამო

ფასი 10 კაპ. საღამოზე დაუკრავს ორკესტრი. სთხოვენ იმათ; ვინც ბავშვებს ახლდებიან, წარადგინონ კონტროლმარკები. ბილეთები იყიდება „სობრანიეს“ შვეიცარ-თან. (2—297—1)

კვირას, 14 ივნისს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა

ღლიური კრება,

საადგილ-მამულო ბანკის შენობაში (ფრეილინის ქ.).

კრების საგანი: 1) ბ-ნ კაკაბაძის რეფერატი: „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა მე-13 საუკუნეში“; 2) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1908 წლისა; 3) შემოსავალ-გასავლის ანგარიში იმავე 1908 წლისა; 4) საკრაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის და 5) ახალ წევრთა არჩევა.

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეშენ მოხიარულ ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი ხნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე 2½—3½ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე 1½—3 ს.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ბოგოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორალევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. 11½—12½ ს.

ათენიანცი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10½—11½ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირუგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ნოვიცკი—ქალ., ბავშ. ყოველ დღ 1—2 საათ.

ჩერნიავსკაია—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—48)

ტფილისი, 14 ივნისი

საათათბიროს ახლად დასრულებულ სესსიასაც არაფერი არ გაუკეთებია განაპირა ქვეყნებისათვის. ამ მარით რუსეთის ახლანდელი პარლამენტი არაფრით არ განსხვავდება თვითმპყრობელ ბიუროკრატიისაგან, რომლისთვის განაპირა ქვეყნები რაღაც უკანონო შვილები იყვნენ. როგორც ბიუროკრატია, ისე პარლამენტიც სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ განაპირა ადგილების აუტანელ მდგომარეობას და არც კი ჰფიქრობენ ის მცირედი მაინც მიანიჭონ, რაც შიდა რუსეთში უკვე არის...

რას წარმოადგენს, მაგალითად, 1890 წლის საქალაქო თვითმართველობა? მხოლოდ აჩრდილს თვითმართველობისას. ქალაქთა მეურნეობის და კეთილდღეობის საქმე ჩაბარებული აქვს მდიდარ სახლის-პატრონთ და ეაჭართ; მათი სამოღვაწეო ასპარეზიც შეზღუდულია ვიწრო ფარგლით; ყოველ მათ ნაბიჯს ადმინისტრაციის სასტიკი კანტროლი უთვალთვალებს. და ასეთ დამახინჯებულ და ფრთა შეკვეცილ ვითომდა თვითმართველობის განხორციელებასაც ვერ მოესწრო მდიდარი, განათლებული და კულტურული პოლონეთი. ხალხი, რომელიც ღირსია ფართო პოლიტიკურ თვითმართველობისა, ამაოდ მოელის, რომ შიდა რუსეთის დამახინჯებული ადგილობრივი თვითმართველობა მაინც დაუწესონ! პროექტი საქალაქო თვითმართველობისა და პოლონეთში მზად ჰქონდა სათათბიროს, მაგრამ მთელ სესსიის განმავლობაში უძრავად იდვა მომხსენებლის პორტფელში... ამავ მდგომარეობაშია საქმე ბალტიის მხარის შესახებ, კავკასიაში, ციმბირში,—ერთის სიტყვით ყველგან, სადაც კი არა-რუსნი ცხოვრობენ. დიდ რამეზე ვინღა ლაპარაკობს? საქმე სულ იმ მცირე რეფორმებზეა მიმდგარი, რომელთა ასრულებას ძველ რეჟიმის დროსაც სთვლიდნენ შესაძლებლად: ერობის და საქალაქო თვითმართველობის დაწესება, მაღალ სასწავლებლის გახსნა (კავკასიაში), დაბალ საეროვნო სკოლის დაწესება და სხვა ამგვარი. ყველა ეს რეფორმა და ზოგი სხვაც (მაგალითად, ბატონ-ყმობის ნაშთთა

გაუქმება ჩვენს ქვეყანაში), ვიმეორებთ, ძველ რეჟიმის დროსაც სადღეისო საქმედ მიჩნდა თვითმპყრობელ ბიუროკრატიასაც-კი, მაგრამ, როგორც მან ვერ გაიმეტა ეს მცირედი განაპირა ქვეყნებისათვის, ისე პარლამენტიც არ ჰფიქრობს მის დაჩქარებას. ვინ წარმოიდგენდა, რომ კონსტიტუციის ხანაშიაც პოლონეთს საოცნებოდ ექნებოდა შიდა რუსეთის ადგილობრივი თვით-მმართველობის დაწესებულებანი? ვინ წარმოიდგენდა, რომ სახალხო წარმომადგენლობა რუსეთის ბიუროკრატიაზე მეტ სისასტიკესა და წინ დაუხედავობას გამოიჩენდა განაპირა ქვეყნების საქმეში?!.

პოლონეთის მხარეს გასულ სესიაში თვალ-საჩინოდ ორჯერ შეეხო სათათბირო: ერთხელ—იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს და მეორედ—ეგრედ წოდებულ „ხოლმის გუბერნიის“ დაარსების კანონპროექტის გასინჯვის დროს. ორივეჯერ რუსეთის პარლამენტის უმრავლესობამ და თვით მთავრობის წარმომადგენლებმა მწარედ შეურაცხჰყვეს პოლონელნი; ორივეჯერ ისე მიეგებნენ პოლონელთა კანონიერ და ზომიერ სურვილებს, რომ ეს სათათბირო, ეს ხელმძღვანელი უმრავლესობა არაფერს არ დაუთმობენ ამ განაპირა ქვეყანას... კავკასიის საქმეებზე შეკითხვა ხომ ყველას გვახსოვს: რეფორმების მაგიერ, ცეცხლითა და მახვილით გამასპინძლებას დაგვპირდა სათათბიროს უმრავლესობა! გაიხსენეთ აგრეთვე შემაძრწუნებელი კამათი ფინლიანდიის შესახებ: სახალხო წარმომადგენლობამ არა თუ სასაცილოდ აიგდო ფინლიანდიის ავტონომია, ბიუროკრატიასაც გადაეჯარბა ამ მხრით და პირდაპირ უბრძანა—ნუ ერიდები, საერთო სახელმწიფო კანონებს დაუმორჩილე ეგ ქვეყანაო...

ასეთი ვიწრო შოვინისტურ-ნაციონალური მიდრეკილება ჰსუფევს დღევანდელ რუსეთის პარლამენტში და რაღა საკვირველია, რომ სესია სესიას მიზდევს და განაპირა ქვეყნებისათვის არც არაფერი კეთდება. იქ, სადაც მთავრობის წარმომადგენელს მინისტრს დაუსჯელად შეუძლია სთქვას,—პოლონელები ნაგავი არისო, იქ სადაც დეპუტატს დაუსჯელად შეუძლია სთქვას—ყველა კავკასიელნი ავაზაკები არიან და უნდა მოისპონო, იქ, ისეთ დაწესებულებაში, რასაკვირველია, ხეირიანი არაფერი გაკეთდება არა-რუსთათვის და განაპირა ქვეყნებმაც ყოველი იმედი უნდა ამოიგლიჯონ გულიდან.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთში ბევრია ისეთი, რომელიც მზადაა ცეცხლითა და მახვილით აჰყაროს მამა-პაპეული ადგილიდან მთელი ამიერ-კავკასიის მკვიდრნი და იმათ ადგილას რუსები დაასახლოს. ამ ვაჟბატონების ჯგუფს ეკუთვნიან, სხვათა შორის, „ნოვოე ვრემიას“ სულის ჩამდგმელნი და მათი ავან-ჩავანნი. ისინი დიდი ხანია გაიძახიან, ამიერ-კავკასიაში მრავალი თავისუფალი ადგილებია და ჩქარა დაასახლეთ რუსებითაო. აი, ეხლაც „ნოვოე ვრემიას“ ერთ თანამშრომელს „გამოუკვლევია“, რომ ამიერ-კავკასიაში ორი მილიონი დესეტინა თავისუფალი ადგილია და ამ ადგილზე თითქმის ერთ მილიონ რუსობის დასახლება შეიძლებაო. სხვათა შორის ავტორი სწერს, ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიაში არის თავისუფალი ადგილიო.

ტფილისის გუბერნიაში და ნაქალაქის ოლქის ხაზრეთ ნაწილში დიდძალი თავისუფალი ველია, რომელიც საუცხოვოა რუსების დასახლებლად. ამ ადგილებში 339,845 დესეტინაა, რომელიც შეიძლება მტკვრიდან, იორიდან და ალაზნიდან გაყვანილ არხებით მოირწყოს.

ელვი არ არის, აქ შირაქის ველზეა ლაპარაკი, იმ ველზე, რომლითაც იმ თავით ამ თავამდე მთა ირჩენდა თავს და რომელსაც ეხლა გიდმოსახლებულთ სთავაზობენ. გაზეთი არც ამასა სჯერდება და გაიძახის, რომ ბათუმისა და სოხუმის ოლქებშიც 300,000 დესეტინა თავისუფალი ადგილიაო.

პეტერბურგში ეხლა ყოველ სახაზინო ადგილს თავისუფალ აკგილადა სთვლიან და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ სახაზინო მიწებზე ათასი წლობით დამკვიდრებულ ჩვენ გლეხებს აბარგებენ და იმათ ნაოფლარზე გადმოსულებს დაასახლებენ...

* * *

გუშინ ჩვენი გაზეთის „ნარკვევ“-ში „ზაკავკაზიე“-დან გადმობეჭდილი იყო ამბავი მასწავლებლის ხოჭალავას შესახებ. ნათქვამი იყო, ვითომ ხოჭალავას ამ ერთი წლის წინად თავისი ცოლი დაეხრჩოს. როგორც ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, ეს ამბავი ტყუილი ყოფილა. სწორედ სამწუხაროა, რომ გაზეთი ჰბეჭდავს ისეთ ბრალდებას, როგორც ცოლის დახრჩობაა, და თავს კი არ იტკივებს ამბის შესამოწმებლად, და ამ რიგად თითონაც შეცდომაში შედის და ხალხებს შეცდომაში შეჰყავს. გუშინ ამ ამბის გამო ჩვენი ცხოვრების დამცემასა და სიდუხჭირეზე ვლაპარაკობდით, მაგრამ თვითონ ის გარემოება, რომ არსებობენ ვაჟბატონები, რომელნიც პირად ინტერესებით საჯაროდ ჩირქსა სცხებენ უდანაშაულო კაცებს და გაზეთებიც შეცდომაში შეჰყავთ, მაჩვენებელია ამ სიდუხჭირისა. რაც შეეხება ბან ხოჭალავას, კერძოდ ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ბრალდება მის წინააღმდეგ ტყული გამოდგა და ჩვენი პესიმიზმი ამ კერძო შემთხვევაში არ გამართლდა.

დეპეშები

(სტერნ დეპეშათა სააგენტოსაგან)

13 ივნისი

ოსმალეთი

სალონიკი. ამზადებენ მესამე კორპუსის მობილიზაციას. თესალიის საზღვარზე გაიგზავნენ ოფიცრები, რომელნიც ციხეებს გაამაგრებენ. სათანადო ჯარის 15,000 სალდათს ბრძანება მიეცა, მზად იყვითო. საბერძნეთის ყურეში დაიჭირეს საბერძნეთის გემი, რომელსაც კონტრაბანდად სამხედრო მასალა მიჰქონდა. ეს მასალა საბერძნეთის კომიტეტებისთვის უნდოდათ. ამ უკანასკნელ დღეებში დაიპატიმრეს საბერძნეთის კომიტეტების ათამდე აგენტი. ბერძნები აღელვებულნი არიან.

სპარსეთი

თავრიზი. პოლიციელის ტანისამოსში გამოწყობილ ფიდაიებს უერთდებიან ხოიდან და სალმასიდან გამოქცეული ფიდაიები. რომ მოსულ ფიდაიებისთვის იარაღი არ აეყარათ, გუბერნატორმა მათ ჟანდარმების ფორმა ჩააცვა. სათარ-ხანი ეხლა ხშირად გამოდის ქუჩებში. სათარ ხანის მეომრებს იარაღი არ დაუყრიათ. ტანისამოს ქვეშ იარაღი დაქვთ. სათარ-ხანთან და ბაგირ-ხანთან ერთად ოსმალეთის საკონსულოს თავი შეაფარეს ცნობილმა ყაჩღებმა, რომელნიც ვაჭრებს და თავრიზის მოქალაქეებს აშინებენ და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი ხდებიან, მათ ფეხის ხმას აჰყვნენ.

მეშედი. 10 ივნ-სს ღილიმე შეჯდელი რევოლიუციონერები თავს დაეცნენ სპარსელ სალდათს, სცემეს და იარაღი აჰყარეს. ეს ამბავი მალე გაიგეს სხვა სპარსელმა სალდათებმა, რომელთაც სულ მთლად გადასწვეს ინჟენერ კაში ფულ-მულკის სახლი, სადაც რევოლიუციონერები დაიმალნენ. 10 ივნისს ღამე გაცარცვეს და დაანგრიეს რამდენიმე სახლი, ერთი ყუმბარით ააფეთქეს. 11 ივნისს სროლა არ შეჩერებულა, ყველგან ბარიკადებს აგებდნენ. ნაშუადღევს სროლა არ შეწყვეტილა, მოკლულია ერთი სალდათი და ერთი მეჯინიბე. გუბერნატორის ბრძანებით, რევოლიუციონერებს და ბარიკადებს ზარბაზნები დაუშინეს, მაგრამ რევოლიუციონერებს ვერაფერი დააკლეს. საღამოს ჟამს სამი ყაზახი, რომელნიც რუსეთის ბანკის განყოფილებას იცავდნენ, ძლივს-ძლივობით მივიდნენ საკონსულოში და განაცხადეს, რევოლიუციონერები არ გვიშვებენ ბანკში სასმელ-საჭმელი მივიტანოთ და დანარჩენი ყაზახებიც არ გამოუშვესო. მაშინ თავადმა დაბიჯამ საკონსულოს დარაჯების უფროსს უბრძანა, ყაზახები და სასმელ-საჭმელი ბანკში მიეცილებინა. კაპიტანმა სკურატმა და ესაულმა პონოჩევნიმ წაიყვანეს 40 ყაზახი, წაიღეს ერთი ტყვიის მტყორცნელი, სასმელ საჭმელი და ბანკისაკენ გაემგზავრნენ. გზაში წააწყდნენ ბარიკადას და 80 შეიარაღებულ რევოლიუციონერს. ნახევარ საათის მოლაპარაკებამ, რომ რევოლიუციონერებს ყაზახები გაეშვა, უშედეგოდ ჩაიარა. ამის შემდეგ რაზმი იძულებული გახდა სროლა დაეწყო. მალე რევოლიუციონერებმა გზა დასცალეს და რაზმი მშვიდობიანად მივიდა ბანკში. რაზმს ზარალი არ მოსვლია, რევოლიუციონერების ზარალი არ იციან.

თეირანი. ინგლისის კონსული კუმში მოვიდა: კუმში ბახტიარები ჯერ არ ჩამოსულან. კუმში შესვლის დროს კონსულს სროლა დაუწყეს.

თეირანი. ამბობენ, რომ საალ-უდ-დოულეს სამსახურიდან გასვლას შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო.

ბერლინი. „დეიტშ-კაბელ-გრამმგეზელშაფტ“-ს თეირანიდან ატყობინებენ: რევოლიუციონური სამღვდელოება სარწმუნოებრივ ომით იმუქრება, თუ რუსები ჩრდილოეთ პროვინციიდან ჯარს არ გაიყვანენ.“

თეირანი. საალ-უდ-დოულემ შჰს თხოვნა მისცა, ნება მომეცით სამსახურიდან გადავდგეო. მიზეზი ის არის, რომ მინისტრების ბრძანებით ახალ საარჩევნო კანონს მხოლოდ მაშინ გამოაცხადებენ, როდესაც ამ კანონს პროვინციალური ენჯუმენები მოიწონებენ. მინისტრებმა ამასთან ერთად სთქვეს თეირანის გამგრეგბაზე იმ შემთხვევისთვის, თუ სატახტო ქალაქს ბახტიარები და რევოლიუციონერები დაეცემან და უარი სთქვეს ახალ სესხის აღებასა და პასუხისმგებელ კასირის დაყენებაზე შაჰმა არ შეიწყნარა საალ-უდ-დოულეს თხოვნა.

საზღვარ-გარედ.

ფეცი. როგის ზანგებსა და სულთანის ჯარს ფეციდან 15 ვერსის მანძილზე შეტაკება მოუვიდათ. როგის ზანგები დამარცხდნენ. სულთნის ჯარის გაძარჯულებს ხალხი დიდის სიხარულით მიეგება.

პარიზი. სენატში დამატებით კრედიტის განხილვის დროს კონსერვატორმა რიუმ აღნიშნა, რომ საფრანგეთმა მაროკოში 58 მილიონი ფრანკი დახარჯა და შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს, რა მდგომარეობაშია მაროკოს საქმეო. მინისტრმა პიშონმა განაცხადა, მაროკოს სულთანი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ მოავრობის მოვალეობაა, საქმე მაროკოსთან დაიჭიროს და არა სულთნის პირად მდგომარეობაში გადაჯარბებული მონაწილეობა მიიღოს. ჩვენთვის სულ ერთია, რომელ სულთანს აირჩევს მაროკო.

ბერლინი. სიამეერიო კანცლერის კანცელარია ირწმუნება, ტეუოლია დიპლომატიურ ბრესის მიერ გავრცელებული ამბავი, ვითომ რეიხსტაგს დათხოვნას უპირებდნენ, არავის სახეში არა აქვს არც რეიხსტაგის დათხოვნა, არც საშინისტროს გადადგომა.

ლონდონი. ინგლისის მეფეშა და დედოფალმა ბუკინგემის სასახლეში მიიღეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს და საბჭოს წევრნი. მეფე მიესალმა დეპუტატებს და განაცხადა, სათათბიროს მუშაობას თვალყურს ყადეგნებდი და ვკითხულობდი ანგარიშებს, რამდენადაც შემეძლო. მეფემ სთქვა: მახარული ვარო, რომ ჩემს ეკუეანაში რუსეთის საკანონმდებლო პალატების წევრებს ვხედავ და რომ ამ უკანასკნელთ შეძლება ეძლევათ კაიცნონ ინგლისიო.

ვენა. ავსტრიის სამრეწველო და სახელმწიფო კავშირებმა დიდი კრება გამართეს. კრებამ პროტესტი განაცხადა. მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა მარტო აგრარიების ინტერესებს იცავსო.

რუსეთი

მოსკოვი. სავაჭრო და სამანუფაქტურო საბჭოს განყოფილებამ სახელმწიფო საბჭოს წევრების ამომრჩევლად აირჩია, ვაჭრობის მინისტრი ტიმირიაზევი და საბჭოს განყოფილების თავმჯდომარე ბარანოვი.

სენატორ გარინის განკარგულებით შეუდგნენ მაქებარ პოლიციის ყოფილ უფროს სოტნევის საქმის გამოძიებას.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო საბჭოს მუშაობა 19 ოქტომბრამდის შესწყდა.

ნაწანწალა

(ფრანგული მოთხრობა)

თერთმეტის წლისა ვიყავი. ძველ სახლში ვცხოვრობდით, მამა-პაპეულ მამულში. მამი ჩემის საქმეები ძალიან შეირყა და მხოლოდ მდიდარ მამიდის სიკვდილის შემდეგ გამოკეთდა. მემკვიდრეობის მოლოდინში ვიყავით და ვაი-ვაგლახით გამოვდიოდით ოდესლაც მდიდარ, მაგრამ რევოლიუციის დროს აკლებულ მამულის მცირე შემოსავალით.

ჩვენი სახლი ნახევრად დაქცეული იყო. მთავარ შენობის გარდა, ეზოში იდგა ორი გვერდზე წაზნექილი ფლიგელი და რვა-კუთხიანი კოშკი. ამ კოშკზე საათი კიდევა სცემდა, მაგრამ მისი ხმა საცოდავ წრიპინს ან ხრინწიან ხველას უფრო წაგავდა ვიდრე საათის რეკას.

ასე თუ ისე ჩვენი ცხოვრება ბედნიერად მიდიოდა. ჩვენი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ დედას, დას ანნას და ჩემ თავს, მამა-კი მუდამ დაფიქრებულ-დაღონებული და აშფოთებული იყო.

გვემსახურებოდა სამოცი წლის მოხუცი დედაკაცი კატერინა. ეს დედა-კაცი მუდამ ერთმანეთს გვეხვეწებოდა—სიკვდილამდე შემინახეთ, მერე დამმარხეთ და უსათუოდ მარმარილოს ქვა დამადეთ ზედ წარწერითაო.

დედა კაცს გარდა, იყო მებაღეც, კოპლი და ურუ. იგი ბაღსა და ბოსტანს განაგებდა. ჩვენ გვაძლევდა ხილისა და მწვანილის ნაწილს, დანარჩენს ჰყიდდა და თავის შრომაში იღებდა. მებაღე კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ამასთან მეტად ძუნწი კაცი იყო. ამბობდნენ, საკმაო ფული შეგროვებია. მებაღე დარაჯის მოვალეობასაც ასრულებდა; როცა მამა ჩემი საქმეებისთვის სხვაგან მიდიოდა; ამ დროს მას ძირითა სათოფულში ეძინა ხოლმე. გვყავდა ერთი ბებერი ძაღლიც, სენ-ბერნარი, უკბილო, რომელიც ფეხებს ძლივს დაათრევდა.

ერთხელ მამა ჩემს საქმეების გამო მარსელში მოუხდა წასვლა. ძალიან ცუდი დრო იყო. იმ ხანებში ჩვენს ახლო-მახლო ყაჩაღთა ბრბოები დათარეშობდნენ და თავიანთ მსხვერპლებს სასიკვდილოდაც-კი იმეტებდნენ. მეზობლები ათასს საზარელ რამეს ამბობდნენ ამ ყაჩაღებზე და მამა ჩემი ძალიან სწუხდა, რომ მიდიოდა და მარტ-ს გვტოვებდა. წასვლისას შინაურები დაარიგა, ღამე ყველა კარი მაგრა ჩაკეტეთ და, საზოგადოდ, ფრთხილად იყავითო. ჩვენ მაინცა და მაინც მაგრე რიგად არა ვწუხდით; მე ჩვენ თავზე, ბავშვებზე-კი არ ვამბობ, დიდებზე: დედაჩემი ამ ქვეყანას ოპტიმისტის თვალით უყურებდა, მოხუცი კატერინა, ჩვენი დედაკაცი, ყველაფერს მალე ივიწყებდა, ხოლო ძებაღეს დიდი იმედი ჰქონდა ძველ დაჟანგებულ რევოლვერისა და უკბილო ძაღლისა, მაგრამ მაინც დაუკეტავს არაფერსა ვტოვებდით, რომ სახლში ვერავის მოეხერხებინა შემოსვლა.

მამი ჩემის წასვლის შემდეგ მესამე დღეს, შებინდებისას, ჩვენს ეზოში შემოვიდა მაწანწალა, პურის ნაჭერი გვთხოვა და შეგვეხვეწა, მალამ აქ გამანევებინეთო.

ძალიან საეჭვო შეხედულება ჰქონდა: მაღალი, გამხდარი, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ძალზე ღონიერი, იგი ნამდვილი მაწანწალა იყო. ამასთან მისი სახე რაღაც სიძულილსა ჰგვრიდა კაცს. ყვითელი და ცრმაცერა თვალები, გვერდზე წასული პირი, ჯაგრით შემოსილი ლოყები, ბალნით დაფარული შუბლი—ყველა ეს მნახველს ერუანტელსა ჰგვრიდა.

დედაჩემსა და კატერინას იმის დანახვაზე კანკალი დააწყებინა. პური მისცეს, მაგრამ ამასთან ბევრს ეცადნენ, რომ თავიდან მოეშორებინათ. მაწანწალამ კოკი-პირული წვიმა დაიხვია ხელზე.

— მთელი ღამე არ გადაიღებს ეს წვიმა,—სთქვა ხრინწიანის ხმით:—მე-კი დილას აქეთ ფუხლი არ ჩამიკეცია. ნუ თუ ისე მომექცევით, როგორც მგელს? განა გენანებათ ერთი მუჭა თივა, რომ ქვეშ დავიგო და წამოვწვე?

თვალი მოჰკრა ეზოში პატარა ფარდულს.

— ნება მომეცით აი აქ დავწვე, არავის შევაწუხებ...

მაწანწალა მარტოდ-მარტო იყო. ჩვენ ლაშქარს კი მებაღე, ბებერი ძაღლი და მამაცი კატერინა შეადგენდნენ. კატერინა ხიფათის დროს მოახერხებდა და სამზარეულოს დანით მოიგერიებდა მტერს.

დედაჩემი დასთანხდა, რომ მაწანწალას ღამე ეზოში გაეთია.

— კარგი, სთქვამ დედამ:—ფრდულში დაგვებინა რამეს.

სხვენიდან ჩამოიტანეს ძველისძველი ფარდაგი და დაუგეს.

ჩვენც ვიაზმეთ და დავწექით.

რიჟრაჟზე რაღაც ყვირილმა და ძაღლის ყეფამ გამომაღვიძა. სიკვდილამდე არ დამავიწყდება ეს ყვირილი—რაღაც საზარელი რამ იყო. საცოდავი, სასოწარკვეთილი ყვირილი ისმოდა... შემდეგ დახრჩობილის ყრინწიანი ხმა მომესმა... მივხვდი, რომ ის სასიკვდილოდ გამზადებულის ყვირილი იყო. მალე მისწყდა იგი. ძაღლის ყეფაც საშინელ წკმუტუნად გადაიქცა, მერე კვნესდა... და სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ჩემ ტახტთან მოირბინეს დედამ და მოხუცმა კატერინამ. ძალზე გაყვითლებულნი იყვნენ, შიშისაგან კანკალი გაჰქონდათ. დედას ხელში ჩემი დის ანნას ხელი ეჭირა. კატერინამ თვალის დახამხამებაზე ლოგინიდან ამაგდო და ხმის კანკალით წამჩურჩულა:

— ჩქარა, შვილო, ჩქარა გაიქცეთ!

გავეშურეთ ეზოსკენ, კიბე ჩავირბინეთ, ეზოს გავცდით და ბაღით გავიქცეთ. იმედი გვქონდა, ბაღს გაივრბენდით და, ვიდრე ყაჩაღები დაგვეწეოდნენ, რომელსამე მეზობელს შევაფარებდით თავს.

მაგრამ მალე უკანიდან ფეხის ხმა მოგვესმა. მივიხედე და სამი კაცი დავინახე: ერთს სისხლში მოსვრილი ჩაქუჩი ეჭირა, მეორეს—დიდი კეტი, ხოლო მესამეს—თოკი. ისე ნათლად წარმომიდგა ის დრამა, რომელშიაც ეხლა მოვკვდები მეთქი.

მე თვითონ ვიღებდი მონაწილეობას, თითქოს ერთ წუთში დიდ და გონიერ კაცად გადავქცეულვიყავ: მოგვკლავენ, გავიფიქრე, როგორც მოჰკლეს ძაღლი და მებაღე. ამ უკანასკნელის ხმა სულ ყურში გამწიოდა. თვალ-წინ დამეხატა იმ წუთის მთელი ჯოჯოხეთი. ორი სუსტი დედაკაცი... ორიც შვილი... მივრბოდით ბაღზე ყაჩაღებისაგან თავის დასახწევად. საკმაოა თვალები დავხუჭო და ეს სურათი ეხლაც ცოცხლად წარმოვიდგეს—თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყველაფერი. ეხლაც, როგორც მაშინ, სისხლი მეყინება, ძარღვი მიშრება...

სიკვდილი აუცილებელი იყო. ყაჩაღები ახალგაზდები და ჯან-ღონით სავსენი იყვნენ. ხუთ წამში დაეწეოდნენ დედა ჩემსაც-კი, რომელიც ყველა ჩვენგანზე უფრო მარდი იყო, მარტოკა რომ ყოფილიყო, ხოლო მაშინ ანნასაც თან მიათრევდა. ფეხის ხმა სულ ახლო გაისმა. ყაჩაღებმა დაცინვაც-კი დაგვიწყეს.

— ტყუილად იწლებით, მეზობლებო! სანამ გაგისტუმრებთ საიქიოს, საუბარსაც მოვასწრებთ!

ამ სიტყვებმა რაღაც საზარელი იმედი ჩაუნერგეს დედაჩემს. მან განიზრახა თავის შეწირვა და ამით ჩვენი გადარჩენა.

— ბავშვებს უშველე!—უცბად წასძახა კატერინეს, ხელი გაუშო ანნას, მიტრიალდა და სამი მომავალის წინ პირის-პირ დადგა. ფეხები ძალზე ამიკანკალდა, თვალთ დამიბნელდა, საშინელმა ყინვამ დამიარა ტანში, ასე მეგონა ეს არის ეხლა მოვკვდები მეთქი.

უცბად ბუჩქებიდან გამოჩნდა მაღალი, გამხდარი კაცი. მაშინვე ვიცანი წუხანდელი მაწანწალა, ხელში ცული ეჭირა. იგი ჩუმად, მაგრამ სასტიკად იცინოდა. ელვასავით ეტაკა ყაჩაღებს. ერთი მათგანი თვალის დახამხამებაზე გაგორდა მიწაზე, თავი თითქმის მოშორებული ჰქონდა ტანს; მეორემ აბებ შემომტვრეულმა, იქვე ჩაიკეცა; მესამეს, კეტით შეიარაღებულს, დრო ჰქონდა მოსამზადებლად და თავის დასაცველად, მაგრამ მალე კეტი ხელიდან გაუვარდა და თვით ხელიც შეწყვეტილი აღმოჩნდა...

პატარეები და დიდები

იფხან ახოსი *)

ვინ გაჰბედავს იმის თქმას, რომ დიდები და ღონიერნი ამავე დროს ყოვლად-შემძლენი არ არიან, ხოლო პატარები და უმნიშვნელონი—უძლურნი? ვინ უარჰყოფს—რომ დიდები არ წინამძღვრობენ პატარებს, ან ძლიერნი არ არიან ისინი, რომელნიც სუსტებისათვის კანონებსა სწერენ?

ლაჟვარდი ცა ბრწყინავს. ზღვა არ ღელავს, მხოლოდ ხანდახან შეიძლება შენიშნოთ აქაფებული ზღვის ტალღა, რომელიც მძლავრად ეხეთქება შორეულ კლდეს და მით მშვიდ ძილს უფრთხობს ზღვას. მაგრამ ზღვას უსიზმროდ არას დროს არ სძინავს, არც მოსვენება იცის მან. ნელა მიიმართება ზღვის წყალთა დენა კლდისაკენ და ღრღნის კლდე ძირს შორიდან გადმოცემულ და მომდინარე წყლით. დღეს წყალი ერთის გზით მიიმართება, ხვალ მეორეთი და მიუწდომელია როგორც მისი მიზანი, ისე დანიშნულება. დაუსრულებლად ბიბინებს ზღვის ბალახთა

*) ფინელი მწერალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით ყველა საკუთრების მომხრეა, საქმით კი ძირს უთხრიან სხვის საკუთრებას. არც გლეხი და არც მემამულე ღალატად აგდებს ერთერთის საკუთრებას, სხვის ნაშრომს.

ვიმეორებ, ძალმომრეობა ყოველთვის ყოფილა, მაგრამ ასეთი უსამართლობა და დაუნდობლობა არავის არ ახსოვს.

ამას წინად გაზეთში თვალი მოვკარ, სოფელს თუ უშველის—კოოპერაციაო. კარგსა ბრძანებს იმისი მთქმელი. ყველა საქმეს და ხელობას შესაფერი კაცები სჭირია. რომ ვერ ხეირობს ჩვენში ამისთანა საამხანაგოები! არა ხეირობს იმიტომ რომ სოფელი სიბნელით არის მოცული, სწავლა-ცოდნა არსადაა, შეგნება არ არის; ამას გარდა ყველას მითვისებისა და ფულის გაფლანგვისა ეშინიან.

ვერც ერთი საერთო საქმე ვერა ხეირობს აქეთ, არა თუ გლეხობაში, თავად-აზნაურობაშიაც: გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატი მგონი, ათ წელიწადზე მეტი უნდა იყოს, რაც დაარსებულია, და ყველამ კარგად იცის, რა მდგომარეობაშიაც არის. აგრეთვე „საციციანო“ და „საფალავანდო“ ტყის კანტორები. მუდამ განხეთქილება, შური და მტრობაა მონაწილეთა შორის.

კოოპერაციას შეუძლიან ცხოვრება გააუმჯობესოსო, ასეც უნდა იყოს, რადგან ევროპაში კოოპერაცია სასწაულს ახდენს. აი ორიოდე მაგალითი,

როჩდელას კოოპერაცია (ინგლისი) 20 ღარიბმა ქარგალმა დაარსა, თითოს კვირაში შეჰქონდა საწევრო ფული თითო შაური, ეხლა კი როჩდელას კოოპერაციას წლიური წმინდა მოგება რჩება 1 მილიონი მანეთი.

პარიზში 1874 წ. 32 მუშამ დაარსა კოოპერაცია. შეჰქონდა თითოს ხუთი შაური; ეხლა ამ კოოპერაციაში 18,000 წევრი ითვლება და წლიური შემოსავალი 8 მილიონია.

1873 წ. ბელგიაში ქალაქ გენტაში 30 მუშამ დაარსა კოოპერაცია, თითოს შეჰქონდათ 12 კაპ. ეხლა მილიონებს ატრიალებს ეს კოოპერაცია. ინგლისში არის ქალაქი ლიდსი. 26 წელიწადია, რაც არსებობს იქ მომსახურებელი საზოგადოება და ამ ხნის განმავლობაში ისე გაფართოვა თავისი მრავალ გვარი წარმოება, რომ მისი ბადალი არ მოიძებნება. ამ საზოგადოებას წვრილმან საქონლისა

ტყე, თავს იხრის წყლის დენის წინაშე, შავად ელვარებს ზღვის ძირი ფენა წყალში, განრისხებული დაჰბურებენ სალი კლდეები ზღვის უფსკრულს.

აგერ სულ ახლოს, ზედ წყლის პირზე, დასცურავს გროვა ჰატარა თევზებისა, მისდევენ წყლის მიმდინარეობას, კლდის გასწვრივ, მობიბინე ბალახებზე, კლდეების გარშემო და უფსკრულის მაღლა. თვალ უწვდენელ ადგილზე მოსჩანან: ამოვარდებიან ჰაერზე და ისევ წყალში ეშვებიან, ეალერსებიან ქვებს, კონცხს, კლდეს და ზღვის ნაპირებს, შეისეირნებენ ბოლოში და ციბრუტივით ტრიალებენ ტალღებს შორის.

საიდან მოდიან, ან სად მიემგზავრებიან? მათ არავინ უჩვენებს გზას, თითოს საჭირო არ იყოს გათვალისწინებული მიზნისა ან რაიმე მიმართულების ქონა ცურვის დროს. მხოლოდ ერთი აზრი აქვთ—აუცილებლად ერთად ყოფნენ. მაშასადამე, არავითარი სხვა ნაზრახვა არ არის იმ დენისადმი, რომლის წინააღმდეგაც მიემართებიან. არც ერთი წევრი არა შორდებიან ამ გროვას არასდროს, არც ერთის თითით არც შესცვლის ეს გროვა მართულებას: თითქოს სხვანაირად ცხოვრობა შეუძლებელი იყოს.

მაგრამ ამავე წყალში სცხოვრობენ უმაძლარი ონავარი თევზები, ზღვის სხვა და სხვა მტაცებლები. ოქროთი და თითბრით არის მოჭედილი მათი ტანი. ზურგი უბრწყინავს; წითელი საცურავი ფრთები ირაღლივით იშლება. ბასრი კბილები ამართულია. ქვებს ამოფარებულნი, ელდის უკან დამალულნი, როგორც ანდი-მტაცებელნი, უთვალთვალებენ თავიანთ მსხვერპლს, რომელნიც ვერ შორი-ახლო დასცურავენ. ესენი თავს გავარვარებულის თვალით და გაღებულის პირით, მათ ეძებენ ზღვის მეფეებს და ნაპირების ბინადრებს. მათ სწამთ, რომ ეს სახელი

სამართლიანად ეკუთვნით და პატარა თევზები—მათი ქვეშევრდომები არიან. პატარა თევზები მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ასაზრდოონ ბრძანებელნი.

მაგრამ განა რამეს ნიშნავს ასი ათასისაგან შემდგარ გროვისთვის ის განადგურება, რომელიც შეუძლიან მიაყენოს მას ორიოდე გაუმაძღარმა ღლანმა, ან ონავარმა თევზმა? პატარები ვერ-კი ამჩნევენ იმათ მოახლოვებას და თითქოს არც კი სცდილობენ, ასცდნენ მათ შეხვედრას. თავდასხმას არ შეუძლიან დაჰქსაქოს მათი კრებული ან ხელი შეუშალოს მათ მგზავრობას. მართალია ზოგიერთი თევზი გამოეყოფა ხოლმე გროვას, შევარდება ჰაერში, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს; დანარჩენნი უთვალავნი, კვლავ განაგრძობენ თავიანთ გზას, თითქოს აქ არა მომხდარა-რაო. დევნილნი, არა სცდილობენ მოგერებას, არ გარბიან შიშით, არც თუ ცურვას უჩქარიან. ერთად ერთი წყლის დენა აძლევთ მათ მიმართულებას, იგია მიზანი მათის მგზავრობისა და არა რამდენიმე მტაცებელი თევზი.

მაშ ასე, ძლიერნი უკან მიჰყვებიან სუსტებს. ზღვის მეფენი იძულებულნი არიან იარონ თავიანთ ქვეშევრდომების გზით, რომ შეინარჩუნონ საკუთარი სიცოცხლე. პატარა თევზები თვითონ იკვლევენ გზას, დიდები იძულებულნი ხდებიან იმათ კვალს მიჰყვნენ.

პატარები—ეს ხალხია, დიდები—ძლიერნი ამა ქვეყნისა. ვინ გაჰბედავს იმის თქმას, რომ დიდები და ღონიერნი ამავე დროს ყოველად-შემძლენი არ არიან, ხოლო პატარები და უმნიშვნელონი კი უსათუოდ უძლურნი? ვინ უარ-ჰყოფს, რომ დიდები გზას არ უჩვენებენ პატარებს, ან ძლიერნი არა ჰქმნიან კანონებს სუსტთათვის?

გ. კვა—ძე.

✦ სასულიერო სემინარიის ძველი შენობის გაყიდვა. გაზეთ „კავკაზ“-ში დაბეჭდილია შემდეგი განცხადება: „ტფილისის მართ. სასულიერო სემინარიის გამგეობა აცხადებს, რომ იგი იჯარით აძლევს და შეიძლება გაყიდოს კიდეც სემინარიის ძველი შენობა პუშკინის და ლორისმელიქოვის ქუჩაზე. მსურველმა განცხადება პირობების აღნიშვნით სემინარიის გამგეობას უნდა წარუდგინოს. საინტერესოა ვიცოდეთ, ვისი განკარგულებით იყიდება ეს შენობა?

✦ სეირნობა მუშტაიდში. დღეს, 14 ივნისს, მუშტაიდში საბაღოსნო სკოლის სასარგებლოდ გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა. როგორც განცხადებიდანა სჩანს, სეირნობა ძალიან საინტერესო იქნება.

✦ შესტოვი შესტოვის ლექცია, რომელსაც დღეს, 14 ივნისს წაიკითხავს ზუბალაშვილის სახალხო სახლში, დაიწყება დილის 11 საათზე. ლექციის თემა: „სანინი“.

✦ სახალხო სახლი. მოვაგონებთ ჩვენ მკითხველებს, რომ დღეს, სალამოს 8 ნახევარ საათზე, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ქართულ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება ყილდენბრუხის ოთხ მოქმედებიანი პიესა „ქოჩრიანი ტოროლა“. ეს პიესა განსაკუთრებით სახალხო თეატრისათვის არის გადმოთარგმნილი და ჯერ ქართულად არსად არ წარმოდგენილა. ბილეთების ფასი ერთი შაურიდან ექვ შაურამდეა. სახალხო სექციის წარმოდგენა საღამოთი გაიმართება. დილიდაც არის დღეს სახალხო თეატრში წარმოდგენა („ავაზაკები“), მაგრამ მასთან ქართულ სექციას საერთო არაფერი აქვს.

✦ სომეხთა საზოგადოების განყოფილება სილნაღში. სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას, როგორც ვწერდით, თავისი განყოფილება ჰქონდა სილნაღშიაც. რადგან განყოფილების გამგეობის წევრნი უმოქმედონი გამოდგნენ, მთავარმა გამგეობამ თავისი ერთი წევრი გაგზავნა და ახალი გამგეობა აარჩევინა იქაურ წევრებს. განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ აურჩევიათ სილნაღის მამასახლისი ე. ენიკოლოფოვი.

✦ ქართულ გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი. 12 ივნისს დასრულდა ეგზამენები ტფ. ქართულ გიმნაზიის უკანასკნელ კლასში. წელს გიმნაზიის კურსი დაასრულა 30 კაცმა, მოგვყავს აქვე მათი გვარები: ბადაშვილი ალექსანდრე, ბრეგვაძე ვლადიმერი, დორიალაშვილი კოსტანტინე, ელიოზიშვილი დავითი, ელიოზიშვილი ნიკოლოზი, ეგორაშვილი ალექსანდრე, ვახვახიშვილი ელიზბარი, ზალდასტანიშვილი აპოლონი, ზანდუკელი მიხეილი, კარიჭაშვილი დავითი, კურცხალია მიხეილი, ლაზრიშვილი ივანე, მიქელაძე ირაკლი, მაჩაბელი ილია, მძინარაშვილი ნოშრევან, ნასიძე ვლადიმერი, ნასიძე ივანე, ნოზაძე იოსები, რკხილაძე გიორგი, სვიმონიშვილი ვლადიმერი, სესიაშვილი სეითი, საყვარელიძე არჩილი, ტატიშვილი შალვა, უფლისაშვილი აბრამი, ფაღავა დავითი, ფალავანდიშვილი კოსტანტინე, ყიფიანი ალექსანდრე, ჩოლაყაშვილი ილია, ჯანყარაშვილი ალექსანდრე, შარაშიძე კოსტანტინე.

✦ კლუბის წევრთა კრება. დღეს, 14 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათისთვის, სასახლის ქუჩაზე სამეურნეო ბანკის სადგომში დანიშნულია ახალ კლუბის წევრთა ზაზოგადო კრება. საზოგადო კრება აირჩევს ახალს წევრებს, მამასახლისებს და დასასრულ თათბირს იქონიებენ საკლუბე ბინის შესახებ. სხდომაზე ყველას შეუძლიან დაესწროს.

✦ ფოსტალიონზე თავდასხმა აბაშაში 11 ივნისს, საღამოს 9 საათზე, ადგილობრივ საფოსტო განყოფილების ფოსტალიონი გაგუა სახლში ბრუნდებოდა ნაცნობებისაგან. მოულოდნელად ვიღაცები თავს დაეცნენ და დაუწყეს სროლა. დაჭრილი გაგუა იქვე წაიქცა, უცნობნი-კი მიიმალნენ. დაჭრილი მატარებლით მახლობელ საავადმყოფოში გაჰგზავნეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

✦ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრება. დღეს, 14 ივნისს, შუადღის 12 საათისთვის ტფ. ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადო კრება ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. განსახილველი საგნები: კაკაბაძის რეფერატი: „წესი და განგება მეფეთა კუთხევისა მე-13 საუკუნეში“; საზოგადოების 1908 წლის მოქმედების ანგარიში; შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1908 წელს; საგარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1909 წლისათვის და ახალ წევრთა არჩევანი.

✦ შრომის ბირჟა. შრომის ბირჟაში 15 მაისიდან 12 ივლისამდე ჩაწერილია ათასამდე უადგილო. 557 მამაკაცი და 400 დედა კაცი. ეროვნებით ასე კანაწილდებიან: რუსი—339, ქართველი—267, სომეხი—142, ბოლონელები—79, ოსი—47, გერმანელი—19, თათარი—2, ბერძენი—1, ებრაელი—4 და ებრაელი 2. ამათში თითქმის ყველა პროფესიის ხალხია,

✦ წვრილი კრედიტის უფასო კურსები. ი. ტერ-ზახაროვის კერძო საგაპრო სკოლასთა:, 15 ივნისიდან გაიმართება საზაფხულო უფასო კურსები წვრილ კრედიტის ანგარიშის წარმოებისა. მსურველთა მიღება 25 ივნისამდე გასტანს. ადრესი: 1 თუმანოვის ქ., № 13.

✦ ყალბი პოლიციელი. 12 ივნისს დიდუბეში დაჰპატიმრეს უცნობი კაცი, რომელიც პოლიციელის ფორმაში იყო გამოწყობილი და მცხოვრებთ თავს აღნობდა მე-6 ნაწილის ბოქაულის თანაშემწედ. ამ ფორმას უცნობი თვენახევარი ატარებდა. უცნობი აღმოჩნდა კრასნოსლობოდსკის მცხოვრები ვასილ ემელინი, რომელსაც ჩამოერთვა იარაღი, ფორმა და პასუხისგებაში იქმნა მიცემული.

✦ უპასპორტოები. გაჩხრეკის დროს პოლიციის მე-8 ნაწილში დააპატიმრეს 74 უპასპორტო კაცი, მე-9 ნაწილში 30 და მე-6 ნაწილში 6 კაცი.

✦ ნავთის მრეწველის გატაცება. დეპეშათა საგენტო გადმოგვცემს: ბაქოში 11 ივნისს, საღამოს 11 საათზე ვიღაც სამმა უცნობმა ეტლში ჩასვა ნავთის მრეწველის რილსკის ძმა და გაიტაცა. მაშინვე ზარები მიიღეს. გამტაცებელი აღმოჩნდა ორი სომეხი და ერთი თათარი. ესენი ვიწრო ბილიკებით სოფლებ კილისა და ბალახანაზე მოდიოდნენ ცხენებით და რილსკიც თან მიჰყავდათ. ყველანი შეიპყრეს და რილსკი გაანთავისუფლეს. გზაზე ნახეს ორი რევოლვერი, რომლებიც გამტაკებლებს გადაეგდოთ.

✦ ტფ. ქალაქის საბჭო. ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა დანიშნულია ხვალ, 15 ივნისისათვის. განსახილველია 15-მდე საქმე.

✦ თვით-მმართველობის აღდგენა. 1902 წლის შემახაში დიდი მიწის-ძვრა მოხდა. ამ მიწის ძვრის შემდეგ ქალაქში თვით-მმართველობა გააუქმეს და მხოლოდ ეხლა აღადგინეს.

✦ „მოსავალი“. გამოვიდა მესამე ნომერი სამეურნეო ჟურნალის „მოსავლი“-სა.

✦ „სენაკის რესპუბლიკა“ 30 ივნისისთვის კავკასიის სახელმწიფო საოლქო სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე ეგრედწოდებულ „სენაკის რესპუბლიკისა“.

✦ მიხეიდის ბრასლეტზე იუზბაშკის სახლში 12 ივნისს დადით ნახეს გვამი მეუზოვის ფრანც კუშეკევსკისა, რომელსაც რაღაც მიზეზისა გამო თავი ჩამოუსჭრიათ.

ქუთაისი

✦ კიბე არქიელის გორაკზე. ქალაქს გამგეობას გადუწყვეტია თავის მხრით გადასდოს ოთხასი მანეთი არქიელის გორაკზე ასავალ ქვის კიბის გასაკეთებლად, რომელსაც 200-მდე საფეხური ექნება. კიბის გაკეთება სულ ჯდება 1500 მანეთად. ამ ფულის ერთ ნაწილს იხდის სამღვდელოება, მეორეს გორაკის მცხოვრებნი და მესამეს (400 მანეთს) ქალაქის გამგეობა.

✦ თამარ ძნელაძის კონცერტი. 11 ივნისს, ქალაქის თეატრში გამართულ თამარ ძნელაძის კონცერტს საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. კონცერტს ხელი შეუშალა ბანკის რწმუნებულთა კრებამ. ახალგაზდა დამკვრელი ქალი ძლიერ მოეწონა საზოგადოებას და ხანგრძლივის ტაშის ცემითა და „ბის“-ს ძახილით დააჯილდოვა.

✦ ქუთ. ქალაქის საბჭოს სხდომა. ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა დანიშნულია 15 ივნისისათვის.

✦ მომავალი სათეატრო სეზონი. ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია, ვალერიან გუნიას გარდა, რომელსაც თვეში 150 მანეთს უნიშნავს, მოიწვიოს ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული, რომელსაც თვეში 120 მანეთი დაენიშნება. გამგეობას სხვა მსახიობებიც თვიურად დაქირავებული ეყოლება.

✦ ქუთ. მთავრობის გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულნი. 11 ივნისს მთავრობის გიმნაზიაში დამთავრდა საპედაგოგიო საბჭოს სხდომები წრევანდელ სწავლა-დამთავრებულთა შესახებ. სრულის ატესტატით სწავლა დაამთავრა 71 კაცი-დან 46 კაცმა. მათი გვარები: ნორმალურ განყოფილებიდან: აკოფოვი ალიოზ, ღამბაშიძე დიმიტრი, გაფრინდაშვილი ვალერიანე, კაკაბაძე დავით, კანდელაკი ივანე, კვიცარიძე გრიგოლ (ვერცხლის მედლით), კეიცარიძე თადეოზ, კოვალევსკი სიგიზმუნდ, ლეისში ალექსანდრე, მახვილაძე ნიკოლოზ, მგალობლიშვილი ალექსანდრე, მკურნალი ალექსანდრე, პაპავა ალექსანდრე, სვანაძე ნიკოლოზ, სალარაძე გრიგოლ, რეანოვსკი მიხაილ, (ვერცხლის მედლით), შანიძე აკაკი (ვერცხლის მედლით), შენგელია გიორგი, გეგელაშვილი მიხეილ, პაპავა ირაკლი, თორაძე გრიგოლ (ამ უკანასკნელ სამის შესახებ საბჭომ შუამდგომლობს მზრუნველის წინაშე, რომ ისინიც იქმნენ გაგზავნილი უნივერსიტეტებში, თუმცა ნიშნებით სუსტობენ). პარალელურ განყოფილებიდან: აბულაძე ივანე, ბალანჩივაძე გიორგი, ბარათაშვილი ალექსანდრე, გაგუა გრიგოლ, გვანცალაძე დიმიტრი, ღიბრაძე კალისტრატე, დარეჯანაშვილი სტეფანე, დემურია ვლადიმერ, კახნიაშვილი დიმიტრი, კეკელია გრიგოლ, მუმლაძე რომან, მიქელაძე დიმიტრი, კორძაია ალექსანდრე, ლუგოვი დიმიტრი, ნიჟარაძე აკაკი, ოგიევსკი ვიქტორ, სიმონოვიჩი მოსე, თავლთვაძე კაპიტონ, ხოჩოლავა იაკობ, ხუჩუა სამსონ, წერეთელი ზურაბ, ჩხიკვიშვილი სამსონ, ლემბერგი ისაკ, მატფეევი პეტრე, ქორქაშვილი მიხეილ. ოქროს მედლით წელს არავინ დაჯილდოვეს.

ქუთაისის სათავადაზნაურო განკის კრება

საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება რამდენსამე დღეს კიდევ გასტანს. ჯერჯერობით ოფიციალურად კითხვაში იმარჯვებს, მხოლოდ ხანდახან ტოტალთა უთმობს გამგეობის ბარტიას. 5 მაისიდან კრება შეუდგა სარეგიზიო კომისიის მიერ წარდგენილ მოხსენების განხილვას, რომელიც ძლიერ საინტერესებდა საზოგადოებას. მოხსენებასთან ერთად წაკითხულ იქმნა გამგეობის განმარტება, რომელიც მეტად მკრთალი გამოდგა. სარეგიზიო კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა საეკარედიძემ განაცხადა: ორი კვირის წინად ვთხოვეთ გამგეობის წევრს ბ-ნს ჯაიანს, განმარტების ერთი ცალი მიეცა კომისიისათვის გასაცნობად, მაგრამ მან უარი გვითხრა: გამგეობა მოვალე არ არის კომისიას თავისი განმარტებანი აძლიოსო.

ბ-ნმა ჯაიანმა სთქვა: გამგეობას განმარტების მხოლოდ ერთი ცალი ჰქონდა და არ შეეძლო სხვისთვის მიეცა. ბოდოს აღმოჩნდა, რომ ერთი ცალი კი არა, ოცი ცალი ეთვალა გადაბეჭდილი, [illegible] ბა სჭირდებოდა. ასეთებულ [illegible] ბა ერთის დღით შეწყდა,

7 ივნისს კრებამ ერთხმად მიიღო სარეგიზიო კომისიის მოხსენების ბირველი, მეორე და მესამე მუხლი, სადაც ნაოქვამია: 1. საქმის წარმოება მეტის-მეტად უთანხმოდ მიდის და აქედან ხდება არეულობა თითქმის ყოველ საქმისა; 2. ბუღალტერია ხშირად შეცდომებს უშვებს, გაუგებრობას ბადებს ვალის ამღებსა და ბანკს შორის და ბანკს ზარალში აგდებს; მას არა აქვს ბანკზე დარჩენილ მამულისათვის ცალკე წიგნი, რომელშიაც უნდა შედიოდეს ყოველი ცნობა თითოეულ მამულის შესახებ; ამიტომ ძლიერ ძნელია სწორე აზრი შეადგინოს კაცმა ამ მამულების რაოდენობისა და შემოსავალ-გასავალზე.

8 ივნისს კრებამ ფარულის კენჭის ერით, 54 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 28 ხმისა, მიიღო მოხსენების მეოთხე მუხლი მამულების დაფასებისა და დამფასებელ კომისიის მოქმედებათა შესახებ, რომელიც შემდეგის დასკვნით გამოიტანება: „მიღებულ მამულების შეფასებანი ძალიან გაზვიადებულ - გადიდებულია, განსაკუთრებით ტფილისის მამულებისა; დამფასებელ კომისიის ოქმები სისწორით ვერა ხატავენ ამ მამულების ნამდვილ შემოსავალს.“ კრებამ დაავალა ზედამხედველ კომიტეტს მიიღოს საჭირო ზომები, რომ შემდეგში ზემო მუხლებში აღნიშნული შეცდომები ადარ განმეორდეს.

შემდეგი ორი სადამო კრებამ მოახმარა ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის განხილვას. უმეტესი ეურადღება კრებამ მიაქცია ტფილისში დარჩენილ მამულებს, რომლის ეოფილმა მმართველმა ბ-ნმა ერისთავმა და ტენიოზოლმა თოიმ მთელი ერთი სადამო აღუბარაკეს და კომისიის მოხსენებაში ნახჩვენები ზოგიერთი ბრალდება კაბათიდეს; უმთავრესი ბრალდება ფულის გაფლანგვის შესახებ შეურეკეკი დარჩა. თვითონ ერისთავმა აღიარა, მართალია, ჩემზე ირიცხება 3000 მანეთამდე ფული, მაგრამ ამ ფულს მაღე დავუბრუნებ ბანკსო. აღმოჩნდა, რომ ტფილისის მამულები, რომელიც წინად თითქმის არაფერს არ იძლეოდა, ამ ჟამად იჯარითაა გაცემული და წლიურად იძლევა 24,500 მანეთს.

კრებამ ერთხმად დაადგინა: ბანკზე დარჩენილ ტფილისის მამულების ეოფილს მმართველს ს. გ. ერისთავს სასამართლოს წესით გადახდეს შემოუტანელი ფული, რომელიც კომისიის ანგარიშით 4475 მანეთი უნდა იყოს; ამასთან დაავალოს ბანკის გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს, მეტი ეურადღება მიაქციონ დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობას; რომ სახლებს თავის დროზედ უკეთებდნენ საჭირო რემონტს და სახლებიდან შემოსული ფული თავის დროზე შედიოდეს ბანკის კასაში. ბათომში დარჩენილ მამულების შესახებ, გარდა ამისა, დადგენილ იქმნა, რომ მამულების იქაურ მოურავს არ ეძლეოდეს ბრილიანტული ჯილდო იმ მამულებიდანაც, რომელნიც სხვა და სხვა დაწესებულებას აქვს მიქირავებული ბირობით და მოურავის მხრით არავითარს მოვალეობას არ სჯერდებენ.

მოსამსახურეებზე ავანსად გაცემულ ფულის შესახებ დადგენილ იქმნა: დაევალოს გამგეობას, რომ ავანსების დასაფარავად დაუჭირონ მოსამსახურეებს ეოველ თვიურად ჯამაგირის 15%, სანამ ავანსების რაოდენობა თვიურ ჯამაგირს არ გაუთანასწორდება; შემდეგ კი ეოველ თვიურად დაუჭრონ ავანსების დაფარვამდის 10%.

11 ივნისს კრებამ ფარულის კენჭის ერით, 60 ხმის უმეტესობით 44 ხმის წინააღმდეგ, დადგინა: გაუქმებულ იქმნას ბანკის ტფილისის განყოფილება. ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა: ა) განაწილებულ იქმნას მუშაობა გამგეობის წევრთა შორის: ერთს მიენდოს ბანკზე დარჩენილ ეველა მამულის გამგეობა, მის ხასუხის მგებლობის ქვეშ; მეორეს—ბუღალტერიის ნაწილის გამგეობა, მესამეს კი—საქმის

წარმოების გამგეობა; ბ) მიმდინარეობის ექსპლუატაციის ეხლანდელი წესი, როგორც უგარგისი, გაუქმებულ იქმნას და ნაცვლად შემოღებულ იქმნას მათი ორი გარეშე; გ) მიღებულ იქმნას ზომები დარჩენილ მიმდინარეობის სანდაკვიდატიოდ; დიკვიდაციის დროს უმარტესობა უნდა მიეცეს იმ პირს, ვინც ბანკისთვის უკეთეს პირობას წარადგენს, და არა მიმდინარეობის უწინდელ პატრონს; დ) სოფლის მიმდინარეობა უფრო მალე რომ გაეიაროს, მიღებულ იქმნაო ამ მიმდინარეობის დანაწილება და ნაწილ-ნაწილად გაეიდვა.

ლევ ტოლსტოისთან

ჯერ კიდევ რუსეთში წასვლამდის სულითა და გულით მინდოდა დიდებულ მწერლის ლევ ტოლსტოის ნახვა. წელს ბედმა გამიღიმა. აღდგომას კურსკის სადგურიდან მე და ერთი ჩემი ამხანაგი გავეშურეთ ტულის გუბერნიაში და ნაშუადამევის პირველ საათზე ჩამოვხტით სადგურზე, რომელიც ათ ვერსზეა სოფელ იასნაია პოლიანაზე. საშინელი ღამე იყო. წვიმა, სეტყვა და ქარის ბზუილი არე-მარეს აყრუებდა. ასეთ ღამეში ცივ სადგურზე გაჩერება შეუძლებელი იყო. ამის ფიქრში ვიყავით, რომ ჩვენთან მოვიდა მეეტლე და გვითხრა: თუ ბინა არა გაქვთ, ჩემსას წაგიყვანთ სოფელში, მოისვენეთ და დილას შეგიძლიანთ წასვლა, სადაც მოისურვებთო. დავთანხმდით, ჩავჯექით ეტლში და გაუდექით გზას. გზა და გზა გაბნეული სოფლები იყო. ნახევარ საათის შემდეგ ბინას მივაღწიეთ. ღამე მეეტლის სახლში გავათიეთ.

გათენდა თუ არა, კიევის გზით წავედით იასნაია პოლიანისაკენ. იასნაია პოლიანაში მისვლამდი შევუხვიეთ იმ სოფელში, სადაც ტოლსტოის მეგობარი ჩერტკოვი სცხოვრობს. ჩერტკოვი ტოლსტოის საზღვარ-გარეთელ შემდევრებს მეთაურობს. მას ამას წინად რუსის მთავრობამ აუკრძალა ამ სოფელში ცხოვრება. ცოტა ხანს ვისაუბრეთ. ჩერტკოვმა სტუდენტობაზე დაიწყო ლაპარაკი და სთქვა: „სტუდენტები პარაზიტები არიან: მუშა ხალხის კისერზე სხედან. სტუდენტებს და, საზოგადოდ, ქალაქის ინტელიგენციას უყვარს მსჯელობა ისეთ რამეებზე, რასაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვსო“, და სხვა. ჩერტკოვმა მოგვცა თავისი ჯერ კიდევ გამოუცემელი თხზულება—„არა კაც ჰკლა“. აქ ყოფნაშივე გადავიკითხეთ ეს წიგნაკი. ავტორი ილაშქრებს მთავრობისა და რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

ბოლოს გავწიეთ ტოლსტოისაკენ. ნახევარი საათის შემდეგ მივედით იასნაია პოლიანაში და დავინახეთ გრაკის შენობები. როდესაც გრაფის სახლთან მივედით, პირველად შეგვხვდა ტოლსტოის ექიმი მაკოვიცკი. გამოველაპარაკეთ და ბევრი რამ საინტერესო გადმოგვცა.

— ტოლსტოი,—სთქვა მაკოვიცკიმ,—თუმცა თან და თან სუსტდება, მაგრამ მაინც იღვიძებს ღამ-ღამეობით და სწერს თავის აზრებს. ბევრი რამე აქვს დაწყებული. სხვათა შორის, სწერს ერთ დიდ მოთხრობას და კომედიას.

— როგორ ატყობთ, ტოლსტოი დაათავებს თავის ნაწარმოებს?—ვკითხეთ ჩვენ.

— ფიზიკურად დღითი-დღე სუსტდება, თუმცა სულიერად მეტად მხნეა. გახსაკუთრებით უსუსტდება მეხსიერება, თუმცა ივიწყებს ისეთ რამეებს, რაც მაინცა და მაინც საჭიროებას არ წარმოადგენს. ველარა სცნობს, მაგალითად, ბევრ თავის ძველ ნაცნობს...

— თქვენ, როგორც ექიმს, გაქვთ თუ არა ტოლსტოიზე გავლენა?

— ტოლსტოის მედიცინა არა სწამს. ეშვიათად მეთანხმება. გოგოლის ასი წლის დაბადების დღესასწაულზე მთელი სახლობა და მახლობელნი შეგვყარა და გოგოლის ერთი ძოთხრობა წაგვიკითხა.

მაკოვიცკიმ გვაჩვენა ის ადგილი, სადაც გარდაცვალების შემდეგ ტოლსტოი უნდა დასაფლაონ. ეს ადგილი ეზოშია, სახლიდან სამას ნაბიჯზე.

— აქა,—სთქვა მაკოვიცკიმ,—ტოლსტოი ბავშვობისას თამაშობდა ძმებთან და დებთან და ახლაც ეს ადგილი მისი საყვარელი ადგილიაო.

გამოგვემშვიდობა მაკოვიცკი და წავიდა. არ გაუვლია ათ წუთს, რომ გამოვიდა ტოლსტოი... პირველად ვერც-კი ვიცანი, რადგან მისი სახე არც ერთ ძისს სურათს არა ჰგავს. ცოტა დაკვირვების ძემდეგ, ჩამოშვებულ თეთრ წარბებზე და ჩაღრმავებულ თვალებზე ვიცანი, რომ ტოლსტოი იყო. ძივესალმეთ და ერთად წავედით ავნიაკენ. დავსხედით. აგვათვალიერ-ჩაგვთვალიერა და გვითხრა, სადაურები ხართ. როცა გაიგო, რომ მე ქართველი ვიყავი, გაუხარდა და რაღაც აღტაცებით დამიწყო ლაპარაკი:

მე—სთქვა გრაფმა,—საქართველოდან ხშირად მომდის წერილები. ჩემი მოძღვრება იქაც პოულობს ნიადაგს, რაც მეტის მეტად სასიხარულოა..

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლევ ნიკოლაევიჩ. ჯანზე როგორა ბრძანდებითო?—ვკითხე მე.

— მე მალე მოვკვდები!—მიპასუხა და რომ შეგვატყო, ეს სიტყვები გვეწყინა, დაუმატა:—ცხოვრება—სიკვდილია, მაშასადამე სიკვდილი—ცხოვრებაა (жизнь есть умираніе елѣдовательно умираніе, есть жизнь), სული თან და თან თავისუფლდება სხეულისაგან. სიკვდილის დროს ეს პროცესი თავდება. მე მალე მოვკვდები... რა დიდი განსხვავებაა ჩემსა და თქვენს შორის: მე მალე მოვკვდები თქვენ კი გვიან...

შემდეგ გრაფმა ღიმილით მკითხა:

— რა ამბავია უნივერსიტეტში? როგორ მიდის თქვენი რევოლიუციის საქმე?

— უნივერსიტეტში რევოლიუციონური სული გაჭარა,—ვუპასუხე მე.

— სამწუხაროა, სთქვა ტოლსტოიმ.—ნუ თუ შესაძლოა სიცოცხლე ისეთ პირობებში, როგორშიაც ჩვენა ვცხოვრობთ. მე თანავუგრძნობ რევოლიუციას, მაგრამ არ თანავუგრძნობ იმ საშუალებებს, რომლის მეოხებითაც უნდათ ცხოვრება შესცვალონ. ნუ თუ შეიძლება ბოროტება გაასწოროს ადამიანმა ბოროტებით?

შემდე უნივერსიტეტზე დაიწყო ლაპარაკი და იურიდიულ ფაკულტეტის შესახებ სთქვა: „ეს ფაკულტეტი ყოველ სიცრუის, ბოროტების და ძალადობის გამამართლებელიაო“. ლაპარაკი ჩვენთან შემდეგის სიტყვებით დაათავა: „გამოდით უნივერსიტეტიდან. თუ ნამდვილი მუშაობა გსურთ, უნივერსიტეტი ვერ დაგაკმაყოფილებთო“.

ბ. ც.

ოსმალეთი

შევკეთ-ფაშა და ბერძნის პატრიარქი.

„კასპი“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ბერძნის პატრიარქი სამხედრო სამინისტროში მივიდა მარშალ მახმუდ შევკეთ-ფაშასთან და გულმოდგინედ შესჩივლა, რომ ამ ბოლო დროს ხშირად ჰკლავენ ბერძნებსაო. შევკეთ-ფაშამ უპასუხა: „მე თავს გაუჭიკავ ყველა ბერძნსაო.“ ამ პასუხის შემდეგ პატრიარქი დაუყოვნებლივ წავიდა სამინისტროდან.

საბერძნეთის პარლამენტში შეკითხვის შეტანას აპირობენ ამ შეურაცხყოფის თაობაზე, რომელიც მარშალმა პატრიარქს მიაყენა.

ათინაში, საბერძნეთის სატახტო ქალაქში, ხალხი ძლიერ აღელვა ამ ამბავმა“.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ შევკეთ ფაშამ თავი ისახელა თავის ზრდილობით და დიპლომატიურ ნიჭით, თითონ ბერძნებიც აქამდე ძლიერ ემადლიერებოდნენ მას; ამიტომ ეს ცნობა არ უნდა იყოს მაინც და მაინც უტყუარი. იქნება ეს შეურაცხყოფა განგებაც იყოს შეთხზული ბერძნების ასაღელვებლად.

სომხის პატრიარქი იერუსალიმში.

სომხების კრებამ სტამბოლში დაადგინა, მოვითხოვოთ სომხის პატრიარქის გადაყენება, რადგან იგი ძლიერ ცუდად ჰმართავს საეკლესიო საქმეებსაო. სომხის მსოფლიო პატრიარქმა არ შეიწყნარა ეს მოთხოვნა, რადგან იერუსალიმის პატრიარქის გამოცვლა არ შეიძლებაო.

კრიტოს საქმე

ოსმალეთის ელჩმა გამოუცხადა საფრანგეთის კარეშე საქმეთა მინისტრს ბიშორს: ოსმალეთს ეწყინა, რომ კრეტოსის საქმეზე მიღებულ ბრძანებაში მყარდველ სახელმწიფოების კარდა, ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც მიიღონ მონაწილეობა, ხოდა საბერძნეთისა და კრეტოსის მონაწილეობა ამ მიღებულ ბრძანებაში შეუწყნარებლად მიიჩნია ოსმალეთის მთავრობასა.

ელჩებმა საერთოდ ურჩიეს საბერძნეთის მთავრობას, თავდაჭერილია და წესიერად მოექცეთ ოსმალეთსა.

ოტადიის ჯარი 14 მარტამდე იყოლის მიატოვებს კუნძულ კრეტოსსა. ინგლისის ჯარსაც ჯერ არავითარი ბრძანება არ მიუღია.

სპარსეთის ამბები

რუსის ჯარს მალე დააბრუნებენ თავრიზიდან.

გაზ. „რეჩ“-ი იუწყება: გენ. სნარსკის რაზმი ამ დღეებში დაბრუნდება თავრიზიდან რუსეთში.

სპარსეთის მთავრობის პროტესტი.

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ თბილისიდან: სპარსეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა, გამოუცხადოთ რუსეთისა და ინგლისის მთავრობებს, რომ სპარსეთის მთავრობა მეტად დიდ გაჭირვებაში ჩაყენა ხალხის უკმაყოფილებამ, გენ. სნარსკის მოქმედებით გამოწვეულმა. თუ რუსეთის მთავრობა ჯარს არ გაიყვანს, სპარსეთის სამინისტრო იძულებული იქნება სამსახურიდან გადადგეს. შაჰმაც ხელი მოაწერა სამინისტროს დადგენილებას. სამინისტრომ დაავალა სპარსეთის ელჩებს პეტერბურგსა და ლონდონში, ბეჯითად ეცადნეთ, რომ რუს ჯარი გაიყვანონ თავრიზიდანაო.

სპარსელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს რუს-ყაზახებს.

„კასპი“-ს ატყობინებენ ასტარიდან: „არდებილში მიმავალ ლაბის პოლკის ყაზახებს ჩაუსაფრდნენ სპარსელები, მაგრამ ასტარის ვიცე-გუბერნატორმა კაცი გაგზავნა და ჩასაფრებულთ თავიანთ განზრახვაზე ხელი ააღებინა.

როცა ეს ყაზახები არდებილს მიუახლოვდნენ, რევოლიუციონერებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ქალაქში არ შეუშვეს, ასე რომ ყაზახები იძულებული იყვნენ ქალაქს მოჰშორებოდნენ და ხანკენდის ახლო დაბანაკებულიყვნენ. საღამოს რუსის კონსულმა, როგორც იყო დააშოშმინა რევოლიუციონერები და ყაზახები ქალაქში შეაშვებინა.

კაზვინის რევოლიუციონურ კომიტეტის პროტესტი

კაზვინის რევოლიუციონურმა კომიტეტმა ამ დღეებში შემდეგი პროტესტი გაუგზავნა უცხოეთის ყველა საელჩოს თეირანში:

„კაზვინის ცენტრალური რევოლიუციონური კომიტეტი პატივისცემით გატყობინებს, რომ რუსეთის მთავრობამ დაარღვია ნეიტრალიტეტი მით, რომ წარსულ 19 აპრილს რუსის ჯარს დაჭერინა თავრიზი. ამის გარდა რუსის კონსულმა კაზვინში 30 აპრილს ულტიმატუმი წარმოგვიდგინა და მოგვთხოვა, რომ ჩვენ ქ. კაზვინი მივატოვოთ, რადგან შჰა კონსტიტუციას გიბოძავთ. ულტიმატუმის ბოლოში ნათქვამია, რომ თუ ჩვენ, რევოლიუციონერები, იარაღთ ბოძოლას განგრძობთ, მაშინ კანონ გარეთ ვიქნებით გამოცხადებულნი; ჩვენ არა დროს არ ვიქნებით კანონ გარეთ, რადგან, კანონიერად ვიმოქმედებთ და მოვითხოვთ მხოლოდ სამართალსა და კანონს.

პირველად კონსტიტუციამ მოგვცა მეზაფერ-ედინ-შაჰმა და შემდეგ ფიცით დაგვიმტკიცა მისმა შვილმა მაჰმედ-ალი-შაჰმა. კონსტიტუციამ სწორედ იმდენ ხანს გასტანა, რამდენიც საჭირო იყო მტარვალ მთავრობისთვის, რომ თავისი ძალა მოეკრიბა და სისხლსა და ძალმომრეობაში ჩაეხრჩო თავისუფლების ნორჩი ყვავილი.

ცენტრალური კომიტეტი გეკითხებით თქვენ, როგორც დიდად გამოცდილებს, რა იმედი უნდა გვქონდეს იმ კონსტიტუციის რსებობისა, რომელიც უკვე ერთხელ იყო შეგინებული და მოსპობილი?

მეორეს მხრით, მიუხედავად ყოველნაირ სიძნელისა, ჩვენ, აღფრთოვანებულნი თანასწორობისა და თავისუფლების იდეით, მუდამ სამართლიანად და კანონიერად ვმოქმედებდით. იქ-კი, სადაც ბატონობდნენ ძველი რეჟიმის აგენტები ყველგან სუფევდა უჯალობა, სისხლის-ღვრა და ძალმომრეობა,—ამის დამამტკიცებელი საბუთი მრავალია. ნუ თუ კანონ გარეთ უნდა ვიყვნეთ ჩვენ და არა ისინი, ვინც მტარვალობს, აწამებს, სცარცავს ხალხსა და ანგრევს ყველ წეს-რიგს? სად დავდვარეთ გონება ჩვენ სისხლი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მტრის მოგერება და თავის დაცვა დაგვჭირდა?

ჩვენი ამხანაგები თითქმის მთელს წელიწადს გირუკად იცავენენ თავრიზს და ბოლოს კი რუსის ჯარი შევიდა ამ ქალაქში. რუსის ჯარმა არა თუ პატივი არა სცა თავრიზელ გმირებს, პირიქით მან ნარაღი აჰყარა იქაურ მილიციას და თანისეთი ბარბაროსობა გამოიჩინა, რომ ყველაფერი რომ გამოქვეყნდეს, გაანთლებული კაცობრობა სირცხვილისგან გაწითლდება.

ამბობენ, ამ ჯარმა წესიერება უნდა დაამყაროს სპარსეთშიო, მაგრამ ჩვენ დიდი ეჭვი გვაქვს, რომ მან როდისე აღადგინოს ჩვენში წესიერება და მშვიდობიანობა დაამყაროს. ფიცის გატეხისა, მეჯლისის ყუმბარებით განადგურებისა და რუსის ჯარის დიდს ამბით თავრიზში შესვლის შემდეგ,—როგორ და შეგვძლიან დავუიროთ იარაღი, ეს ერთად-ერთი ჩვენი იმედი ამ გაჭირვების წამს, მით უმეტეს რომ რუსის ჯარი თავრიზში ვითომ დასაკვებ სურსათის მოსატანად შევიდა, ნამდვილად კი, როგორც ეტყობა, ჩვენის ქვეყნის დაჭერა სწადიან? განა ჩვენ მეამბოხეები ვართ? ჩვენ მხოლოდ ვიცავთ ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს დამოუკიდებლობას“.

ბოლოს ცენტრალური კომიტეტი ცხადებს, რომ რევოლიუციონერები მხოლოდ იმის შემდეგ დაჭერენ იარაღს, როდესაც მათი ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება, დაარსდება სახალხო მილიცია და რუსის ჯარი გავა სპარსეთიდანო.

ბაღი-რესტორანი
ამხანაგობის
„ბუანე“-სი
სახალხის ქ., ქართველ თავ.-აზნაურთა სახაფხულო თეატრთან. ბაღში ყოველ დღე დღეიხით 2—4 ს. და საღამ. 9—2 ს. უკრავს ორკესტრი ბ-ნ ბ. ფალიაშვილის ლუტბარობით. ბაღში შესვლა უფასოდ.
სადილები: 2 კერძი—60 კ., 3 კერძი—80 კ., 4 კერძი—1 მან. ყოველ გვარ საჭმელ-სასმელზე არის ფასდაცხრილი. ფასები ზომიერია.
ტელეფონი № 211. (50—კაკ.—6)

ეკმთზვევით
იყიდება
ორთათღლიანი სახლი ბანკის ვალით, შეღავათიან პირობებში. ათი ოთახი თავის კუხნებით და სარაიებით. ძველი ნაძალადევი, ავჭალის აუდიტორიის მახლობლად რკინის გზის გადაღმა, გრიზენკოს შესახვევი, № 4.
პირობების გასაგებად მსურველს შეუძლიან მიმართოს დიდი ვანქის ქუჩაზე, სტამბა „სინათლე“-ში. (5—213—5)

სრკვდილი გაღლინჯოებს!
ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი. დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, პუშკინის ქუჩა, № 15 და აფთიაქის საწყობში კოჩინეანისა, ვორონცოვის ძეგლთან. აფთიაქებს %. (15—ახ.—1)

პირველი ქერძო სამკურნალო
დოქტ. ნავასარდიანი
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტფილისში
დილით:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
ე. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბეჭბიო, ქალებისა და ბავშვებისა.
მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
ა. მ. ტურბოვიჩი: 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.
საღამოთი:
ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩეული 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

— მხოლოდ 10 დღით —
15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22 და 23 ივნისს
ნ. ი. კუნდურის
მაღაზიაში
სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო სახლი.
დაკლებულის ფასით
ქალის საცვალი,
ქალის ხალათები
ჩულქები, წინდები
შალისა იუბკები აბრეშუმისა. (1—ხალ.—1)
— ფასები შეუვაჭრებლად —
დაკლებულის ფასებით
ფასებიდან ფასებიდან

გაფრთ ხილეგა
დ. ზ. სარა ZAVODSKAJA MARKA ჯიოვილისა
კანტორა ტფილისში.
ზოგიერთი ჩვენი მოგვარენი და სხვანი მოწადინებულნი არიან ისარგებლონ ჩვენი ფირმის სახელით და ამიტომ გასასყიდად გამოუშვეს არაყი და არაყის სხვა ნაწარმოებნი ისეთის ეტიკეტებითა და მარკებით, რომელიც საშინლად ჰგავს ჩვენს ეტიკეტებსა და მარკებს. ამათ ერთად-ერთი აზრი აქვთ—უნდათ შეცდომაში შეიყვანონ პ-ნნი მომხმარებელნი.
ზოგნი არ დაერიდნენ და ეტიკეტებზე მსხვილის ასოებით აღნიშნეს დ. ზ. სარაჯიოვილი, ხოლო წვრილს, თითქმის შეუმჩნეველის ასოებით მოაწერეს ყოფილი მოხამსახურენი.
ამის გამო კანტორა სთხოვს ჩვენს ნაწარმოების მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ დ. ზ სარაჯიშვილის სახელს, მამის სახელის და გვარის პირველ ასოებს, მხოლოდ ქვეშ არ უნდა იყოს მოწერილი „ყოფილი მოხამსახურენი“, და საჭარხნო მარკას „ჯიხვი კლდეზე“. (20—234—14)

პროვოდნიკის



ამხანაგობა
რიგაში
საუკეთესო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
● იყიდება ნარდად და ცალოგით: ●
რეზინის საეკიპაჟო შინები,
პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი“ (წითელი),
პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,
მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.
„პროვოდნიკი“-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.
ცალოგით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.